ფორთოხლის ჟელე

გაგისინჯავს ფორთოხლის ჟელე? წაიკითხე ეს ტექსტი და გაეცანი მისი დამზადების რეცეპტს.

გიყვარს ტკბილეული – შოკოლადი, ნაყინი, ჟელეს კანფეტი? ალბათ, იცი, რომ მათი მომზადება სახლშიც შეგიძლია. მაგრამ რეცეპტის გარეშე ეს საკმაოდ **რთულია**. გინდა კანფეტის ან სხვა რომელიმე **სასუსნავის** მომზადება ისწავლო? ამისთვის ჯერ მის რეცეპტს უნდა გაეცნო. სწორედ რეცეპტში წაიკითხავ ყველა საჭირო **მითითებას**. მასში ისიც წერია, რა მასალა უნდა გამოიყენო. ასევე ისიც, რა უნდა გააკეთო, რომ გემრიელი გამოვიდეს. მთავარია, რომ წესები **ზუსტად** დაიცვა. იცოდე, საჭმელს ან სასმელს კარგი მზარეულიც ხშირად რეცეპტის მიხედვით ამზადებს. რეცეპტების წიგნიც კი არსებობს. ჩვენც ერთ-ერთი რეცეპტი შენთვის ამ წიგნიდან შევარჩიეთ. მოდი, ჯერ წაიკითხე იგი. შემდეგ კი შეასრულე ყველა მითითება და მიიღებ გემრიელ სასუსნავს – ფორთოხლის ჟელეს.

რეცეპტი

საჭირო მასალა:

შაქარი – 150 გრამი;

ფორთოხალი – 3 ცალი;

ლიმონი – ნახევარი;

ჟელატინი – 25 გრამი;

წყალი – 4 ჩაის ჭიქა.

მომზადების წესი:

- გახსენი ჟელატინი ცხელ წყალში.
- ცალკე გაწურე ფორთოხალი და ლიმონი. ხილის დარჩენილი **ქერქი** კი მოათავსე ცარიელ ქვაბში. ზედ დაასხი ცივი წყალი და ქვაბი დადგი ქურაზე. ადუღე მხოლოდ ერთ წუთს.
- 40-45 წუთის შემდეგ ნახარში გაწურე, რომ ქერქი მოშორდეს.
- სუფთა ნახარშს დაუმატე შაქარი და გახსნილი ჟელატინი. ცოტა ხნით ისევ ცეცხლზე დადგი, ოღონდ არ აადუღო.
- ნახარშს დაუმატე გამოწურული ხილის წვენი და გადმოდგი ცეცხლიდან.
- ჩაასხი მიღებული ჟელე ფორმებში და შედგი მაცივარში 5-6 საათით.

გახსოვდეს, ცეცხლი ბავშვისთვის საშიშია. ამიტომ კარგი იქნება, თუ ჟელეს უფროსთან ერთად გააკეთებ.

რისთვის არის საჭირო რეცეპტი?

კომპონენტი: თანამიმდევრობა, **დონე:** 3.3

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ავტორი გვირჩევს, როდესაც პირველად აპირებ რომელიმე სასუსნავის მომზადებას, ჯერ:

ა) უფროსს უნდა სთხოვო დახმარება.

ბ) სხვადასხვა ზომის ჭურჭელი უნდა აიღო.

გ) შესაბამის რეცეპტს უნდა გაეცნო.

2 ფორთოხლის ჟელეს რეცეპტში, ჯერ:

ა) მითითებულია წესი, რომელიც უნდა შეასრულო.

ბ) მოცემულია გაფრთხილება, რომელიც უნდა გაითვალისწინო.

გ) ჩამოთვლილია მასალა, რომელიც უნდა გამოიყენო.

3 მას შემდეგ, რაც ფორთოხლისა და ლიმონისაგან გამოწურავ წვენს:

ა) ქერქს დაასხი წყალი და წამოადუღე.

ბ) წვენი შედგი მაცივარში 5-6 საათით.

გ) წვენი ცოტა ხნით ცეცხლზე დადგი.

4 ფორთოხლის ჟელეს მომზადების ბოლო ნაბიჯია:

ა) ჟელეს ჩასხმა ფორმებში და მაცივარში შედგმა.

ბ) ჟელეს ცეცხლზე დადგმა და წვენის დამატება.

გ) ჟელეს წამოდუღება და შაქრის დამატება.

5 ყველაზე მთავარი რამ, რასაც იგებ ამ ტექსტიდან, არის:

ა) როგორ უნდა მომზადდეს გემრიელი ჟელე.

ბ) როდის უნდა გადავწუროთ ქერქის ნახარში.

გ) რომელი ტკბილეული უყვართ ბავშვებს.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. რეცეპტის გარეშე ჟელეს მომზადება **რთულია.**

   ა) საშიშია. ბ) შეუძლებელია. გ) ძნელია.

2. ამ რეცეპტით შეგიძლია **სასუსნავი** მოამზადო.

   ა) გამორჩეული კერძი. ბ) გემრიელი ტკბილეული. გ) ნებისმიერი საჭმელი.

3. გაითვალისწინე ყველა **მითითება!**

   ა) რჩევა. ბ) სირთულე. გ) შემთხვევა.

4. წესები **ზუსტად** უნდა შეასრულო.

   ა) დიდი სიამოვნებით. ბ) ზედმიწევნით სწორად. გ) ყველაზე სწრაფად.

2 რომელი სიტყვაა განმარტებული?

ფორთოხლის გარეთა მაგარი ნაწილი არის:

ა) მერქანი. ბ) ნაჭუჭი. გ) ქერქი.

3 დაწერე ერთი სიტყვით.

ნიმუში: *ქვაბი, ჭიქა, თეფში არის* ***ჭურჭელი****.*

შოკოლადი, ნაყინი, კანფეტი არის ----------.

ფორთოხალი, ლიმონი, ვაშლი არის ----------.

4 რომელია ზედმეტი სიტყვა?

1. ა) მეპურე. ბ) მზარეული. გ) სანაყინე.
2. ა) ჟელატინი. ბ) რეცეპტი. გ) შაქარი.

▶▶▶ გრამატიკა

1 შეარჩიე სწორად ერთ-ერთი სიტყვა: ნუ, არ.

1. წვენი ---------- აადუღო!
2. ცხელ ქვაბს ხელს ---------- ახლებ!

გრამატიკა

2 ფრჩხილებში მოცემული სიტყვები დაწერე თანდებულიანი ფორმით.

1. ქვაბი ფრთხილად გადმოდგი (*ცეცხლი*) ----------.

2. (*ნახარში*) ---------- ჩაასხი გამოწურული ხილის წვენი.

3 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: რეცეპტის გარეშე – ურეცეპტოდ.

1. შაქრის გარეშე – ----------. 2. წყლის გარეშე – ----------.

წერა

1 ტექტის მიხედვით ჩამოწერე ჟელეს მომზადების ნაბიჯები თანამიმდევრობით.

ნაბიჯი 1.	ნაბიჯი 2.	ნაბიჯი 3.	ნაბიჯი 4.	ნაბიჯი 5.	ნაბიჯი 6.
ჟელატინის წყალში გახსნა.	წვენის გამოწურვა.				

2 წარმოიდგინე, რომ გინდა მეგობრებს გაუმასპინძლდე შენ მიერ მომზადებული ტკბილეულით. ჯერ დაწერე, რის გაკეთებას ისურვებდი და რატომ. შემდეგ ჩამოწერე, რა მასალა დაგჭირდება. ასევე, რა თანამიმდევრობით უნდა გამოიყენო ეს მასალა. ჩართე სიტყვები: ჯერ, შემდეგ, ბოლოს...

შენი ნაწერი გააფორმე ნახატებით.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____